ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1435983

ნომერი: AR1243414

თარიღი : 10.08.2014

გაცემის თარიღი : 15.08.2014

გაცნობის თარიღი : 18.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი , N 35ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ასათაშვილი პ/ნ 01007003262
- თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 48 ბ. 102

ორგანიზაცია:

- შპს''ენერგო'' კოდი: 208153415

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თვალსაჩინოა ის გარემოება, რომ არსებულ ღობეში საპროექტო კარის (ჭიშკრის მოწყობა) გათვალისწინებული გაქვთ სატრანსპორტო მიმოსვლისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე პირველ რიგში გასათვლისწინებელია ის გარემოება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, სატრანსპორტო მოძრაობის კუთხით ისედაც საკმაოდ გადატვირთულ მაგისტრალზე, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ მოთხოვნილი სამუშაოები განპირობებულია გარკვეული აუცილებლობით, პირველ რიგში უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (#01.19.21.001.113) გზის მოწყობასთან დაკავშირებით და ამასთანავე უნდა მოიპოვოთ ქ. თბილისის მერიის სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის თანხმობა, კახეთის გზატკეცილიდან კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთამდე გზის გაჭრასთან დაკავშირებით. მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ შეძლებს არქიტექტურის სამსახური ხელმეორედ წინამდებარე განაცხადის განხილვას, ასეთ შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება განახლებული ფოტომონტაჟი, საპროექტო გზის (მისი ზომებით) დატანით. წინააღმდეგ შემთვევაში (იმ შემთხვევაში თუ საპროექტო დავალებით არ არის გათვალისწინებული სამანქანო გზის მოწყობა) უნდა შეამციროთ საპროექტო კარის გაბარიტული ზომა (ოფრთიანი ჭიშკრის ნაცვლად მოეწყოს ერთფრთიანი კარი, განკუთვნილი მხოლოდ ფეხითმოსიარულეთა გადაადგილებისათვის), რომლის შესაბამისად უნდა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი, დეტალურად ზომებისა და მასალის დატანით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge